ადრესატი:

ნინო ჩიქოვანი
იურიდიული საქალაქო სამსახური-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

წერილის ნომერი:**17-01262542294**
თარიღი: **11/09/2026**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში შემოსული N19/01262432822-01 31.08.26წ. განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2024 წლის 1 ნოემბრის N002634 დადგენილებით, შპს „ჰაუს დეველოპმენტი“ დაჯარიმდა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, პაატა დათუაშვილის ქუჩა N3, N01.14.02.011.040 საკადასტრო კოდზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 9 ივნისის N4978240 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური კომპლექსი / შენობა) მშენებლობისათვის.

2025 წლის 1 მაისს სამსახურის მიერ გაიცა N4-5/ს.ფ-459-25 სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც შპს „ჰაუს დეველოპმენტ“-ს დაევალა ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს ჯარიმა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

ასევე 2026 წლის 12 ივნისის Nშ-189/26 დადგენილებით, შეჩერდა ქ. თბილისში, პაატა დათუაშვილის ქუჩა N3, N01.14.02.011.040 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მიმდინარე მრავალფუნქციური მშენებლობა.

ქ. თბილისში, დათუაშვილის ქუჩა N3-ში, N01.14.02.011.040 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობა-ნაგებობა სამსახურის მიერ არ არის მიღებული ექსპლუატაციაში. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით სამსახურში განცხადებით დამკვეთს არ მოუმართავს, ხოლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით განცხადების წარდგენა ევალება დამკვეთს, თუ დამკვეთი არ წარადგენს ზემოთხსენებულ განცხადებას, სამსახური მოკლებულია უფლებამოსილებას იმსჯელოს მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხზე.

ქ. თბილისში, დათუაშვილის ქუჩა N3-ში, N01.14.02.011.040 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სსიპ „თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური“-ს 2025 წლის 11 ივნისის N7694059 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის სანებართვო მოწმობა. (მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 6 ნოემბრიდან - 2027 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით).

დანართი: "3" ფურცელი.

მუნიციპალური ინსპექცია-სამართლებრივი წარმოებისა და საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილება-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი